

განმარტებანი რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ნაშრომს წინ უძლვის შესავალი, რომელშიც ლაპარაკია ე. წ. „მითანური წერილის“ (1887 წ.) აღმოჩენაზე ეგვიპტეში, ეხნატონის არქივში, რომელმაც დასაბამი მისცა ასირიოლოგიაში ახალი დარგის – ხურიტოლოგის წარმოშობას, გადმოცემულია ხურიტების მოკლე ისტორია, განხილულია ხურიტული ენის მიმართება სხვადასხვა ჯგუფის ენებთან (ინდოევროპულთან, სემიტურთან, ურარტულთან, იბერიულ-კავკასიურთან, ქართველურთან) და მოყვანილია მკვლევართა მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით; განხილულია ხურიტული ლექსიკა, მისი თავისებურებანი, სიტყვათწარმოება, თხზვა და კომპოზიცია; გაანალიზებულია ადამიანთა საკუთარი სახელები და შედარებულია ტიპოლოგიურად მსგავს საკუთარ სახელებთან სხვადასხვა ენებში (აქადური, ბერძნული, ებრაული, ირანული და სხვა). გამოყოფილია სემანტიკური ჯგუფები (ადმინისტრაციული ერთეულები, იარაღი, ძვირფასი ქვები და საიუველირო ნაკეთობები, მეტალები, მუსიკალური ტერმინები, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები და სხვ.), სინონიმები, ომონიმები და ანტონიმები, მითითებულია ნასესხობები შუმერულიდან და აქადურიდან, ასევე ხურიტულიდან ნასესხები სიტყვები სხვა ენებში.

ლექსიკონში სიტყვები ბუდობრივი პრინციპითა განლაგებული. მოცემულია ძირი, ფუძე და მათგან ნაწარმოები პირიანი და ბრუნვის ფორმები. თითოეული ბუდის ბოლოში მოცემულია საკუთარი სახელები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ამ ძირიდანაა ნაწარმოები. მითითებული არიან ავტორები, რომლებსაც ეკუთვნით სიტყვის მნიშვნელობის დადგენა, ანდა ნაშრომებში აქვთ დამოწმებული. ფორმები მოცემულია ტრანსლიტერაციით ვარიანტული დაწერილობებით. შეძლებისდაგვარად, ყოველ ფორმასთან მითითებულია ტექსტი და ლიტერატურა; მოყვანილია შესატყვისობები მონათესავე ურარტული, ასევე შუმერული და აქადური ენებიდან.

წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა „ასირიოლოგთა, ბიბლიოლოგთა და კავკასიოლოგთა საზოგადოებაზ“, რედაქტორია აკად. თ. გამურელიძე.

ზ. კ.

ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი I (ა-ბ), 279 გვ.; II (ს-ჟ), 313 გვ.; პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი: დამანა მელიქიშვილი, პასუხისმგებელი რედაქტორი: ანა ხარანაული. ბაქურ სულაკაურის გამოცემლობა, თბ., 2010.

ამ უკანასკნელ ხანს ქართულ ლექსიკოგრაფიაში თვალსაჩინო წარმატებების (ვგულისხმობ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის I და II ტომების ახალ, საგრძნობლად შეგსებულ გამოცემას, დიდ ინგლისურ-ქართულ და ქართულ-ინგლისურ ლექსიკონებს, ას. ჭირჭარაულის დიდტანიან

„ხევსურულ ლექსიკონს“) ფონზე წინამდებარე ორტომიანი ლექსიკონი უთუ-ოდ მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც იგი სცილდება ლექსიკოგრაფიის ფარგლებს თავისი სპეციფიკის გამო. ეს არის თითქოს ვიწრო დარგობრივი ლექსიკონი, რომლის ტრადიცია საქა-რთველოში საკმაო ხანია არსებობს და გრძელდება, მაგრამ ამ დარგის – სიბრძნისა და ღვთისმეტყველების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს ლექსიკონი უპრეცედენტოა. მართალია, ძველი ქართუ-ლი ფილოსოფიური ტექსტების პუბლიკაციას (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა) თან ახლავს სპეციალური ლექსიკის სიტყვარები, მაგრამ ამ ორტომიან გამოცემას თავისი მასშტაბურობით და ამბიციურობით (რო-გორც სრულიად სამართლიანდ ლაპარაკობს „წინათქმა“) ბადალი ნამდ-ვილად არ მოეძებნება. აქ თავმოყრილი ლექსიკა გამოხატავს და ამავე დროს წარმოაჩენს ქართული ენის შესაძლებლობებს ღვთისმეტყველების სფერო-ში. ამდენად, იგი შემოქმედების ნაყოფია, შეიძლება ითქვას, ანონიმურად აგტორისეულია, ინტელექტუალური წვის შედეგია. ლექსიკონის ზერელე გადახედვითაც თვალსაჩინოა, რომ ტერმინთა შენებაში ზედმიწევნით და ამომწურავად, ძალდაუტანებლად (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა) არის გამოყენებული ქართული ენის მორფოლოგიური შესაძლებლობანი, რაც საშუალებას აძლევს მას (ამ ენას) სავსებით ასახოს ბერძნულის მორ-ფოლოგიური სახე (ძირითადად ეს ითქმის ზმნიზედათა არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებასა და ნიუანსურობაზე ორივე ენაში). ამ თესაურუსში შემოკრებილი და ერთმანეთის გვერდით მყოფი ლექსიკის აბსოლუტური უმრავლესობა არტეფაქტული ხასიათისაა. არის, ბუნებრივია, ისეთნიც, რომელნიც მთარგმნლობითმა გონია ემპირიულ-ყოფითი მნიშვნელობები-დან მეტაფიზიკურ ემპირიამდე აამაღლა. მყითხველს, როგორც სპეცია-ლისტს, ისე საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური პრობლემატიკით და ქა-რთული ენის ლექსიკით დაინტერესებულს, საშუალება ეძლევა კონტექსტში შეამოწმოს ამა თუ იმ ტერმინის სიცოცხლისუნარიანობა და ადეკვატურო-ბა, რომელთაგან არცთუ მცირედი წილი დღემდე ტერმინოლოგიურად (და ზოგჯერ ყოფითადაც, მაგ., არსი, არსება) ცოცხალი და ქმედითია.

ჩვეულებრივ, დარგობრივი ლექსიკა ლექსიკოგრაფიული მდგომარეობის იმ ეტაპზე იქმნება, როცა უკვე არსებობს ენის ლექსიკის მეტ-ნაკლებად სრუ-ლად მომცველი განმარტებითი ლექსიკონები. სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო ჩვენში ვერა და ვერ შეიქმნა, – მოთხოვნილება კი, რა ხანია, არსებობს, – ძველი ქართული ენის სრული განმარტებითი ლექსიკონი. მასალა კი მისთვის, დღემდე გამოქვეყნებულ ტექსტებს ვგუ-ლისხმობ, საკმაო რაოდენობით არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ფი-ლოლოგიური მეცნიერების დიდი ხარვეზია. ვერ ვიტყვით, რომ წინამდე-ბარე ლექსიკონი ავსებს ამ ხარვეზს, მაგრამ მისი სპეციფიკა ის არის, რომ იგი წარმოგვიდგენს, ვიმეორებთ ზემოთქმულს, ხანგრძლივი ინტელექტუა-ლური და სიტყვათშემოქმედებითი პროცესის საფუძვლიანი გაზრების ნა-

ჟოფს. ბევრისთვის ლექსიკონს არა მხოლოდ გამოყენებითი, არამედ გონიერივი საზრდოს და, ასე გასინჯეთ, ესთეტიკური კმაყოფილების მიმცემი დანიშნულება აქვს; და, მით უმეტეს, თუ ადამიანს იზიდავს ფილოსოფიური ტექსტები, ამ ლექსიკონში იგი პოვებს საკმოდ ვრცელ ამონარიდებს ტრაქტატებიდან, სადაც ესა თუ ის ტერმინი ცოცხლობს.

ამ პროექტის, როგორც დღეს უწოდებენ, წარმატება მრავალწილად განპირობებულია მისი ავტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფ. დამანა მელიქიშვილის საერთო წარმატებით იმ დარგში, რომელშიც იგი მრავალი წელი ნაყოფიერად იღვწის. და ეს დარგი ორმხრივია, ორი ასპექტი აქვს: ენობრივი და ფილოსოფიური; ორი ეს მხარე გადაწნულია ერთმანეთთან, უფრო მეტი: ისინი მსჯალავენ ერთურთს. შემოქმედებითი გრამატიკული ანალიზის გარეშე ძნელია შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფოსების მნათობის – პეტრიწის სამყაროში შესვლა და, პირუკუ, ნეოპლატონური სისტემა აადვილებს რთულ სინტაქსში შელწევას და ლექსიკური ინოვაციების წვდომას. ამ სინთეზის შედეგია, გარკვეულწილად, ეს ლექსიკონი. სავსებით ბუნებრივია, რომ თავად პეტრიწის ლექსიკას, როგორც განსაკუთრებულ ფერმენტს, დანართის სახით განკერძოებული ადგილი მიეჩინა ლექსიკონში (II ტ. გვ. 269-310).

ლექსიკონი გამოიცა „რუსთაველის ფონდში“ მოპოვებული გრანტით და, როგორც მესვეურები აღნიშნავენ, მისი მხარდაჭერის გარეშე, პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის გაღარიბების პირობებში მართლაც გაჭირდება პროექტის ბოლომდე განხორციელება. მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი წამოწყება ბედის ანაბარა არ დარჩება.

ზ. კ.

Cultural paradigms and political change in the Caucasus, ed. by Nino Tsitsishvili. Saarbrücken: Lambert Academic Publishing, 2010, 306 p.

ქულტურული პარადიგმები და პოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში, რედაქტორი ნინო ციციშვილი. საარბორუკენი, 2010, 306 გვ.].

2010 წლის ნოემბერში გამოვიდა წიგნი სათაურით „ქულტურული პარადიგმები და პოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში“, ინგლისურ ენაზე. ეს არის ანთოლოგია, რომელიც დაიბეჭდა გერმანიაში ლამბერტ აკადემიკ პაბლიშინგის (Lambert Academic Publishing) მიერ. წიგნის პრეზენტაცია შედგა მელბურნში, მონაშის უნივერსიტეტის კონსერვატორიაში უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის მიერ 2010 წლის 25 ნოემბერს.

ეს კრებული-ანთოლოგია იმითაა საინტერესო და გამორჩეული, რომ მასში შესული თავები დაიწერა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მიერ. მათ